



ფინანსური აუდიტის ანგარიში



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

“ვაგტაჟიკა”

აუდიტის დეპარტამენტი აფხაზეთის
ავტონომიური რესპუბლიკაში
დეპარტამენტის უფროსი
ნოე ქაშიბაძე

“ 09 ” 03 “ 2018 წელი

N 24136

ვგზ: N: 1

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს აპარატი
ფინანსური აუდიტის ანგარიში

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული
საანგარიშგებო პერიოდისათვის

სარჩევი

ტერმინთა განმარტება	3
1. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე.....	6
▪ 1.1 პირობითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ	6
▪ 1.2 პირობითი მოსაზრების საფუძვლები	7
▪ 1.2.1 ძირითადი აქტივები	8
2. სხვა გარემოებები	8
▪ 2.1 ინვენტარიზაცია	8
▪ 2.2 მივლინება	9
▪ 2.3 დანაკლისები	9
▪ 2.3 შრომის ანაზღაურება	9
▪ 2.4 ავტოპარკის ოპტიმიზაცია	10
▪ 2.5 შრომითი ხელშეკრულებით მომუშავეთა ანაზღაურება	10
▪ 2.6 არამატერიალური აქტივები	10
▪ 2.7 საცნობარო მუხლები	11
▪ 2.8 ფინანსური ანგარიშგების დანართი ფორმები	11
▪ 2.9 საბიუჯეტო დეფიციტის მართვა	11
3. უმაღლესი საბჭოს ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე.....	12
4. აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე.....	13
5. დანართები - უმაღლესი საბჭოს (01 00) ფინანსური ანგარიშგება	15

ტერმინთა განმარტება

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო - უმაღლესი საბჭო;


აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა - ავტონომიური რესპუბლიკა;

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით- ფინანსური ანგარიშგება.

ინფორმაცია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს შესახებ

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო წარმოადგენს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საქმიანობის ძირითადი მიზანია აფხაზეთიდან დევნილთა პრობლემების გადაწყვეტაში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ჩართულობის ხარისხის ამაღლება, აფხაზეთის კონფლიქტის სრულმასშტაბიანი დარეგულირებისათვის სამართლებრივი ბაზის შექმნა, დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგიის ფარგლებში დევნილი მოსახლეობის სოციალურ – ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, დევნილთა საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის ხელშეწყობა; ავტონომიური რესპუბლიკის საკანონმდებლო ბაზის შემდგომი დახვეწა მისი საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოსაყვანად.

უმაღლესი საბჭოს ორგანიზაციული სტრუქტურა



აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო (პროგრამული კოდი: 01 01)

უმაღლესი საბჭოს 2017 წლის ძირითადი საბიუჯეტო პარამეტრები (ლარებში)

პროგრ. კოდი (1)	დასახელება (2)	2017 წ. დამტკიცებული ბიუჯეტი (3)	2017 წ. დაზუსტებული ბიუჯეტი (4)	2017 წ. საკასო ხარჯი (5)	სხვაობა დამტკ.-დაზუსტ (6)	შესრ.% (სვ.5/3) (7)
01 01	სულ	1,674,385.00	1,857,175.00	1,842,271.63	-182,790.00	110
	ხარჯები მათ შორის:	1,669,385.00	1,765,575.00	1,750,677.65	-96,190.00	105
	შრომის ანაზღაურება	1,352,400.00	1,412,420.00	1,412,413.89	-60,020.00	104
	საქონ. და მომსახ.	315,985.00	342,402.00	327,907.18	-26,417.00	104
	სოც. უზრუნვე	0	4,800.00	4800.00	-4,800.00	-
	სხვა ხარჯ.	1,000.00	5,953.00	5,556.58	-4,953.00	556
	არაფინანს. აქტ. ზრდა	5,000.00	91,600.00	91,593.98	-86,600.00	1832

1. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ხელმძღვანელობას

1.1 პირობითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის (პროგრამული კოდი: 01 01) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებას (ბალანსს) 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებულ ანგარიშებს: ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით (ბალანსის დანართი ფორმა №2), არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ (ბალანსის დანართი ფორმა №2-1), ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების შესახებ (ბალანსის დანართი ფორმა №2-2), წმინდა ღირებულების შესახებ (ბალანსის დანართი ფორმა №3), არასაბიუჯეტო საქმიანობით მიღებული სახსრების მოძრაობის შესახებ (ბალანსის დანართი ფორმა №4), არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ (ბალანსის დანართი ფორმა №5), არასაოპერაციო შემოსავლებისა და არსაოპერაციო ხარჯების შედეგად ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებების შესახებ (ბალანსის დანართი ფორმა №5-1), ინფორმაცია არაფინანსური აქტივების ანალიზური აღრიცხვის მონაცემებზე (ბალანსის დანართი ფორმა №6), ორგანიზაციების ანგარიშებზე რიცხული ფინანსური აქტივები და მოთხოვნები წარმოშობის წლების მიხედვით (ფორმა №7), ორგანიზაციის ანგარიშებზე რიცხული ვალდებულებები წარმოშობის წლების მიხედვით (ფორმა №8), ინფორმაცია ფინანსური აქტივების და მოთხოვნების შესახებ დებიტორების მიხედვით (ფორმა №9), ინფორმაცია ვალდებულებების შესახებ კრედიტორების მიხედვით (ფორმა №10).

ჩვენი აზრით, ფინანსური ანგარიშგების შესახებ პირობითი მოსაზრების საფუძვლებში აღწერილი საკითხების გავლენით განპირობებული შესაძლო გავლენის გარდა, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს უმაღლესი საბჭოს ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის „ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ №364 ბრძანების შესაბამისად.

1.2 პირობითი მოსაზრების საფუძვლები

1.2.1 ძირითადი აქტივები

- ბალანსის ანგარიშზე „2.2.2 სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი“, რომელიც ფინანსური ანგარიშგების ფორმა №1-სა და დანართი ფორმა №5-ში წლის ბოლოს წარდგენილია 17,234.63 ლარის, ხოლო ძირითადი კაპიტალის მოხმარება - 5,768.44 ლარის ოდენობით, ასახულია 40 ერთეული 3,757.00 ლარის ღირებულების სრულად ამორტიზებული აქტივები და მათზე ზედმეტად დარიცხული ცვეთის თანხა 709.00 ლარი¹. შედეგად ბალანსის მუხლი „სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი“ წლის ბოლოს გაზრდილია 3,048.00 ლარით², ხოლო საანგარიშო წლის წმინდა ღირებულება ბალანსის ფორმა №3-ში შემცირებულია 709.00 ლარით. შესაბამისად, 3,048.00 ლარით შემცირებულია ბალანსის საცნობარო მუხლი „(08) ამორტიზებული ძირითადი აქტივების“ საბოლოო ნაშთი³.
- ბალანსის ფორმა №1-სა და დანართი ფორმა №5-ში „1.2 სხვა დანარჩენი მატერიალური მარაგების“ ბალანსის ანგარიშზე წლის ბოლოს ნაშთი არ ფიქსირდება. როგორც დადგინდა, აუდირებული წლის განმავლობაში ობიექტმა შეისყიდა 12,564.00 ლარის მატერიალური აქტივები, ხოლო წლის განმავლობაში ხარჯებში ჩამოწერილი მატერიალური აქტივების გასვლასთან დაკავშირებით ჩამოწერის საბუთები წარმოდგენილია მხოლოდ 3,117.00 ლარის აქტივებზე. აუდიტის შედეგად გამოვლინდა⁴ ისეთი მატერიალური აქტივები, რომლებიც ბალანსის შესაბამის მუხლზე წლის ბოლოს ნაშთის სახით უნდა ყოფილიყო აღრიცხული. პასუხისმგებელი პირის ინფორმაციით, წლის ბოლოს მატერიალური მარაგების ნაშთი შეადგენდა 1,413.00 ლარს, რომელიც არ ასახულა ბალანსის შესაბამის მუხლზე⁵. ვინაიდან ობიექტის მიერ არ ხორციელდება მატერიალური აქტივების გასვლაზე კონტროლი და გასვლის საბუთების წარმოება⁶, აუდიტის ჯგუფის მიერ ვერ იქნა მოპოვებული რწმუნება 2018 წლის იანვარში გასული მატერიალური მარაგების შესახებ. შესაბამისად, ვერ დასტურდება წლის ბოლოს ნაშთი, რომელიც ასახული უნდა იყოს ბალანსის ფორმა №1-ში მუხლზე „1.2 სხვა დანარჩენი მატერიალური მარაგები“.
- ფინანსურ ანგარიშგებაში, კერძოდ, ბალანსის საცნობარო მუხლზე „(08) ამორტიზებული ძირითადი აქტივები“ არ არის ასახული საანგარიშგებო წელს სრულად ამორტიზებული

1 საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2002 წლის 31 დეკემბრის №439 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების ძირითადი აქტივების ფიზიკური ცვეთის ნორმებისა და მათი ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახვის შესახებ“ ინსტრუქცია, მუხლი 3, პუნქტი 1.

² (3,757.00-709.00).

³ საქართველოს ფინანსთა მინისტრის „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანება, მუხლი 40, პუნქტი 9.

⁴ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2002 წლის 31 დეკემბრის №439 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების ძირითადი აქტივების ფიზიკური ცვეთის ნორმებისა და მათი ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახვის შესახებ“ ინსტრუქცია, მუხლი 6.

⁵ ადგილზე დათვალიერების აქტი.

⁶ საქართველოს ფინანსთა მინისტრის „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანება, მუხლი 19, პუნქტი 2, „გ“ ქვეპუნქტი.

⁷ საქართველოს ფინანსთა მინისტრის „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანება, მუხლი 18, პუნქტები: 4,5,6,8,9.

ა/მანქანა NISSAN PATHFINDER სახელმწიფო ნომრით ZJG 001, ისტორიული ღირებულებით 19,319.00 ლარი⁷.

ამრიგად, პირობითი მოსაზრების საფუძველში წარმოდგენილი საკითხებიდან გამომდინარე, 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსურ ანგარიშგებაში არაფინანსური აქტივების, ძირითადი კაპიტალის მოხმარების და საცნობარო მუხლების აღრიცხვის კუთხით წარმოდგენილი ინფორმაცია უტყუარად (სწორად), სრულად და საიმედოდ ვერ ასახავს რეალურ მდგომარეობას⁸.

აუდიტი წარმართეთ უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI 1000-1810) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული პასუხისმგებლობები დეტალურად არის აღწერილი ანგარიშის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით“. უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო ორგანიზაციის (INTOSAI) ეთიკის კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად, ჩვენ ვართ უმაღლესი საბჭოსგან დამოუკიდებელი აუდიტორები. ამასთანავე, შევასრულეთ აღნიშნული კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია პირობითი მოსაზრების გამოთქმისათვის აუცილებელი საფუძვლების შესაქმნელად.

2. სხვა გარემოებები

2.1 ინვენტარიზაცია

ობიექტის მიერ უმაღლესი საბჭოს 2017 წლის 18 დეკემბრის №03/68 ბრძანების საფუძველზე ჩატარებული ძირითადი საშუალებებისა და მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაცია არ აკმაყოფილებს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს⁹, კერძოდ:

- ვერ გამოვლინდა ბუღალტრულ რეესტრებში აღურიცხავი მატერიალური მარაგების ფაქტობრივი ნაშთები.
- ინვენტარიზაცია არ ჩატარებულა მატერიალური მარაგების ადგილმდებარეობისა და მატერიალურად პასუხისმგებელი პირების მიხედვით.

⁷ საქართველოს ფინანსთა მინისტრის „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანება, მუხლი 40, პუნქტი 9.

⁸ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2002 წლის 31 დეკემბრის №439 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების ძირითადი აქტივების ფიზიკური ცვეთის ნორმებისა და მათი ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახვის შესახებ“ ინსტრუქცია, მუხლი 6.

⁹ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვალის №70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების 29-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-4, მე-5 და მე-8 პუნქტები.

⁹ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის №605 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ მუხლი 2, პუნქტი „ბ“; მუხლი 5, პუნქტი 12, „ა“ ქვეპუნქტი, მუხლი 8, პუნქტი 20.

- არ შემდგარა ინვენტარიზაციის აქტი ობიექტის მიერ ფაქტობრივად გამოუყენებელი, არასრულფასოვანი და უვარგისად ქცეული აქტივების შესახებ.

2.2 მივლინება

2017 წლის ასიგნების ფარგლებში უმაღლესი საბჭოს თანამშრომლის პოლონეთში მივლინების ხარჯების ანაზღაურება მოხდა ზედმეტად - 72.37 ლარის ოდენობით. სადღეღამისო ნორმა მივლინების ბრძანებით განსაზღვრული 5 დღის ნაცვლად, შეცდომით ანაზღაურდა 6 დღეზე¹⁰.

2.3 დანაკლისები

ბალანსის ფორმა №1-ში და დანართი ფორმა №7-ში, „მოთხოვნები არაფინანსური აქტივების დანაკლისებით“ ბალანსის 1440 ანგარიშზე აღრიცხულია 16,640.00 ლარის არაფინანსური აქტივების დანაკლისები: ცეცხლსასროლი იარაღი, „მერსედესის“ მარკის ა/მანქანა, 4 ცალი კომპიუტერი. ხოლო საცნობარო მუხლში „გადახდისუუნარო დებიტორების ჩამოწერილი დავალიანება“, აღრიცხულია ანგარიშვალდებულ პირებზე ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში რიცხული ზედმეტად ანაზღაურებული ა/მანქანის საწვავისა და მივლინების - 7,409.00 ლარის თანხები. აუდიტის ობიექტისაგან მოწოდებული ინფორმაციით, დანაკლისებისა (გარდა ცეცხლსასროლი იარაღისა) და უიმედო დებიტორული დავალიანების ამოღების მიზნით, აუდირებული წლის განმავლობაში, ობიექტის მხრიდან ზეპირი კომუნიკაციის გარდა, სხვა ღონისძიება არ ჩატარებულა¹¹.

2.3 შრომის ანაზღაურება

- მოქმედი კანონმდებლობით შრომის ანაზღაურება გაიცემა თვეში ერთხელ, ხოლო ხელფასის დარიცხვა და გაცემა აისახება დარიცხვის და გაცემის შესაბამისი თვის ბუღალტრულ ანგარიშგებაში¹². მიუხედავად აღნიშნულისა, უმაღლესი საბჭოს დეპუტატებზე ივლისის თვეში გაიცა არა მარტო ივლისის, არამედ აგვისტოს თვის ხელფასიც. პასუხისმგებელი პირის ინფორმაციით, აღნიშნული გარემოება უკავშირდებოდა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე განსახლებულ დევნილ ამომრჩეველთან შესახვედრად არასასესიო პერიოდში დეპუტატების გასვლებს.
- უმაღლეს საბჭოში არ იწარმოება სამუშაო დროის გამოყენების და ხელფასის გაანგარიშების აღრიცხვის ტაბელი. ხოლო თანამშრომელთა სამსახურში გამოცხადებისა და წასვლის ჟურნალი, რომელსაც აწარმოებენ მხოლოდ 2017 წლის მარტიდან, სრულად და ეფექტიანად ვერ უზრუნველყოფს თანამშრომელთა სამუშაო დროის კონტროლს¹³.

¹⁰ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 20 აპრილის ბრძანებულება №231 „მოსამსახურეთათვის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების წესი“, პუნქტი 1.

¹¹ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის №605 ბრანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესი“ მუხლი 13, პუნქტი 4; მუხლი 15, პუნქტი 2.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანება. მუხლი 40, პუნქტი 4.

¹² საქართველოს ფინანსთა მინისტრის „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანება, მუხლი 30, პუნქტი 14; საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსი“, მუხლი 31, პუნქტი 2, მუხლი 13, პუნქტი 2, ქვეპუნქტი „გ“;

¹³ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის №449 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების პირველადი საბუღალტრო დოკუმენტებისა და სააღრიცხვო რეგისტრების ფორმების შესახებ“ ფორმა №019 საქართველოს ფინანსთა მინისტრის „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების

2.4 ავტოპარკის ოპტიმიზაცია

- საანგარიშგებო წლის ბოლოს უმაღლესი საბჭოს ბალანსზე ირიცხებოდა 13 ერთეული ა/სატრანსპორტო საშუალება, მათ შორის, 4 ერთეული - განპიროვნებული და 9 ერთეული - სამორიგეო ა/მანქანა. უმაღლესი საბჭოს აპარატის სამტატო რიცხოვნობის - 64 ერთეულის გათვალისწინებით, აპარატში უნდა გამოყოფილიყო არა უმეტეს 3 სამორიგეო ავტომანქანისა¹⁴.
- ასევე სამორიგეო ა/მანქანებით სარგებლობის მოწესრიგებისა და ხარჯების ოპტიმიზაციის მიზნით, ობიექტის მიერ არ ხორციელდებოდა ა/მანქანების „წასვლა/მოსვლის ჟურნალის“ წარმოება¹⁵.
- ობიექტის მიერ ბალანსზე რიცხული თითოეული ავტომობილისათვის არ იყო განსაზღვრული საწვავის ყოველთვიური ლიმიტი ლიტრებში, რომელიც დაეფუძნებოდა თვის განმავლობაში ა/მანქანის სამსახურებრივად სავარაუდო/საჭირო ექსპლუატაციასა და ა/მანქანის ე.წ. წვის რეჟიმს. ლიმიტი განისაზღვრებოდა უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის ბრძანების საფუძველზე დამტკიცებული თანხების ოდენობით. ობიექტის მიერ არ ხორციელდებოდა თვის განმავლობაში ა/მანქანების მიერ ათვისებული საწვავის შედარება ა/მანქანების გარბენის მაჩვენებელთან, ხოლო ბუღალტრულ რეესტრებში საწვავის ხარჯის ჩამოწერა ხდებოდა მხოლოდ მომწოდებლის მიერ წარდგენილი ანგარიშფაქტურის საფუძველზე.

2.5 შრომითი ხელშეკრულებით მომუშავეთა ანაზღაურება

უმაღლესი საბჭოს აპარატში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული იყო 6 პირი¹⁶, რომლებიც მოქმედი კანონმდებლობის¹⁷ მოთხოვნათა მიუხედავად, დასაქმებული იყვნენ მუდმივ ამოცანათა შესასრულებლად 10-12 თვის ვადით და მათზე გაიცა 24,725.00 ლარის ანაზღაურება, მათ შორის, 4 მოსამსახურე უმაღლესი საბჭოს აპარატში მუშაობდა 2016 წელსაც (11-12 თვით) და ასრულებდა ხელშეკრულებით დაკისრებულ სამუშაოებს (მოვალეობებს).

2.6 არამატერიალური აქტივები

ბალანსის ფორმა №1-ში და დანართი ფორმა №5-ში „2.3.2 არამატერიალური ძირითადი აქტივების“ ბალანსის მუხლში ირიცხება ბუღალტრული აღრიცხვის პროგრამა „ორისი“ , რომლის ნარჩენი ღირებულება აუდირებული წლის ცვეთის 60.00 ლარის გათვალისწინებით შეადგენდა 60.00 ლარს. წლის განმავლობაში პროგრამა „ორისის“ განახლებაზე გაწეულ იქნა

ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ” 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანება, მუხლი 30, პუნქტები: 14,15.

¹⁴ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 თებერვლის №121 დადგენილებით დამტკიცებული „სახელმწიფო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის ან ჩანაცვლების წესი“, მუხლი 5, პუნქტი 1.

¹⁵ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2015 წლის 25 სექტემბრის დადგენილება №28 „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებებში სამსახურებრივი ავტომანქანების გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ“, მუხლი 4, პუნქტი 2.

¹⁶ ელექტრო, გათბობისა და საკანალიზაციო სისტემის ტექ.მომსახურება; შიდა სატელეფონო კავშირგაბმულობის საშუალებათა ექსპლუატაცია და რემონტი; უმაღლესი საბჭოს მიერ მისაღები აქტების სამართლებრივი ექსპერტიზის ჩატარება და სათანადო დასკვნების მომზადება; აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს აპარატის აფხაზეთში კონფლიქტის დარეგულირებასთან დაკავშირებული პროცესების ანალიტიკურ დეპარტამენტში აფხაზეთის კონფლიქტთან დაკავშირებული მასალების მოძიება და დამუშავება, ანალიზის გაკეთება; უმაღლესი საბჭოს მიერ მისაღები აქტების პროექტების სამართლებრივი ექსპერტიზის ჩატარება და სათანადო დასკვნების მომზადება; დეპარტამენტის სამუშაო გეგმების, უმაღლესი საბჭოს დადგენილებების, კანონპროექტების შემუშავებაში მონაწილეობა, მათზე შენიშვნების, დასკვნებისა და წინადადებების მომზადება.

¹⁷ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლი. პუნქტი „3“.

მიმდინარე ხარჯი 100.00 ლარის ოდენობით. აღნიშნული არამატერიალური აქტივი საანგარიშგებო წლის განმავლობაში ობიექტის მიერ არ გამოყენებულა.

2.7 საცნობარო მუხლები

ბალანსის საცნობარო მუხლებზე „№04 ხარჯებში ჩამოწერილი მარაგები ექსპლუატაციაში“ და „№10 ექსპლუატაციაში მყოფი ხარჯებში ჩამოწერილი გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები“ - ირიცხება 33 ერთეული სხვადასხვა დასახელების 6,868.00 ლარის ღირებულების ისეთი აქტივები, რომლებიც აუდიტის ობიექტის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, ექსპლუატაციაში არ იმყოფებოდა.

2.8 ფინანსური ანგარიშგების დანართი ფორმები

- ფორმა №1-ის საცნობარო მუხლზე №08 „ამორტიზებული ძირითადი აქტივები“ არ არის აღრიცხული 2017 წელს სრულად ამორტიზებული 19,319.33 ლარის პირველადი ღირებულების ძირითადი აქტივი;
- ფორმა №5-ში არ ფიქსირდება მატერიალური მარაგების საბოლოო ნაშთი, რომელიც არსებობდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ასევე წლის განმავლობაში არ არის აღრიცხული მატერიალური მარაგებისა და გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივების მიღება/გასვლა (ხარჯებში ჩამოწერა)¹⁸;
- ბალანსზე მატერიალური მარაგების საწყის ნაშთში არსებული 1,088.00 ლარის ღირებულების მატერიალური მარაგების უსასყიდლოდ გადაცემა, მიმდინარე წლის ფინანსური ანგარიშგების დანართი ფორმა №3-ში და №5-ში, ნაცვლად „გრანტებისა“, აღრიცხულია როგორც „სხვა ხარჯებით“ გასვლა. ასევე მიმდინარე წელს შესყიდული 91,593.98 ლარის ღირებულების ძირითადი აქტივების მიღება დანართი ფორმა №5-ში ნაცვლად „შესყიდვა მიმდინარე პერიოდის“, ნაჩვენებია „გრანტების“ მუხლში¹⁹.
- ბალანსის დანართი ფორმა №6-ში არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია, უსასყიდლოდ მიღებული ნულოვანი ღირებულების ავტომატური მიღებისა და გასვლის (გადაცემის) შესახებ. ასევე ამავე ფორმაში არ არის წარმოდგენილი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ბალანსსა და ბალანსგარეშე (საცნობარო) მუხლში სატრანსპორტო საშუალებების ნაშთი. აღნიშნულის გარდა, ბალანსის დანართი ფორმა №7-ში ობიექტის დებიტორული დავალიანება(დანაკლისები) წარმოშობის წლების მიხედვით, შესაბამისი თანხებით არ არის წარმოდგენილი. ბალანსის დანართი ფორმა №9-ში დებიტორული დავალიანებების შესახებ ინფორმაცია საერთოდ არაა ასახული²⁰.

2.9 საბიუჯეტო დეფიციტის მართვა

საბიუჯეტო დეფიციტის მართვის მიზნით გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების ძირითადი პრინციპების (შემდგომში - პრინციპები) შესაბამისად, „შრომის ანაზღაურების“ მუხლით და

¹⁸ საქართველოს ფინანსთა მინისტრის „ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანების მე-20 მუხლის მე-7 პუნქტი და 23-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების 29-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-4, მე-5 და მე-8 პუნქტები.

¹⁹ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების 29-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-4, მე-5 და მე-8 პუნქტები.

²⁰ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების“ 29-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-4 და მე-5 პუნქტები.

„შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების“ მუხლით 2017 წელს გაწეული ხარჯი თითოეული საბიუჯეტო ორგანიზაციისათვის არ უნდა ყოფილიყო 2014 წლის საკასო ხარჯზე მეტი, ხოლო წარმომადგენლობითი ხარჯების დაფინანსება განსაკუთრებული აუცილებლობის გარეშე უნდა შეზღუდულიყო და 2014 წელს გაწეულ საკასო ხარჯთან მიმართებაში უნდა შემცირებულიყო არანაკლებ 20%-ის ფარგლებში. თუმცა იმ პირობებში, როდესაც არსებითად არ გაზრდილა ორგანიზაციის ფუნქციები და კომპეტენცია, უმაღლესი საბჭოს მიერ 2017 წელს შრომის ანაზღაურება და შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება ჯამში გაზრდილი იყო 8%-ით და წარმომადგენლობითი ხარჯები, შემცირების ნაცვლად, გაზრდილი იყო 61%-ით²¹.

2.10 წინა აუდიტით გამოვლენილი ნაკლოვანებების გამოსწორების მდგომარეობა

წინა აუდიტით გამოვლენილი ნაკლოვანებების ნაწილობრივ გამოსწორების მიუხედავად, მიმდინარე აუდიტით კვლავ დაფიქსირდა ისეთი ნაკლოვანებები, რომლებიც გამოვლინდა წინა პერიოდში ჩატარებული აუდიტისას²². კერძოდ :

- კვლავ დაფიქსირდა როგორც ძირითადი, ისე სხვადასხვა მატერიალური მარაგების სწორად აღრიცხვასთან დაკავშირებული პრობლემები;
- არ იყო უზრუნველყოფილი ბალანსზე რიცხული დანაკლისებისა და უიმედო დებიტორული დავალიანებების აღმოფხვრის საკითხები;
- უმაღლესი საბჭოს ბალანსზე რიცხული მოკლელულიანი ცეცხლსასროლი სახელობითი იარაღის დანაკლისის საკითხი, რომლის შესახებ მითითებულია „დანაკლისების“ პარაგრაფში და რომლის კანონიერ მფლობელობაში დაბრუნებისა და სათანადოდ განკარგვის შესახებ, აღნიშნული იყო წინა აუდიტის ანგარიშში, კვლავ მოუგვარებელი დარჩა და უმაღლესი საბჭოს აპარატმა ფაქტობრივად ვერ უზრუნველყო არსებული პრობლემის აღმოფხვრა.

3. უმაღლესი საბჭოს ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით, „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის „ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების

²¹ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 6 მარტის №422 განკარგულება - „საბიუჯეტო დეფიციტის მართვის მიზნით გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“ მე-2 პუნქტი და დანართის პირველი და მე-3 და მე-7 პუნქტები.

²² სას-ის 2016 წლის 24 თებერვლის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2015 წლის ფინანსური აუდიტის დამტკიცებული ანგარიში N11/36; სას-ის 2015 წლის 18 თებერვლის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2014 წლის ფინანსური აუდიტის დამტკიცებული ანგარიში N3/129; სას-ის 2014 წლის 6 ნოემბრის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2013 წლის ფინანსური აუდიტის დამტკიცებული ანგარიში N17/129.

დამტკიცების შესახებ“ №364 ბრძანების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა ვალდებულია შეაფასოს ერთეულის ფუნქციონირებადობის (საჯარო მომსახურების უწყვეტად მიწოდების) უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად ფუნქციონირებადობის (უწყვეტობის) პრინციპის გამოყენებასთან, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც განზრახულია ერთეულის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან ასეთი ქმედების რეალური ალტერნატივა არ არსებობს.

4. აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა შეცდომით ან თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორული დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას, რომ უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI 1000-1810) მიხედვით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში მოსალოდნელია, რომ ისინი ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებას.

უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI 1000-1810) შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული მსჯელობის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. ამასთანავე, ჩვენ აგრეთვე:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისათვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისათვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა - უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისათვის წინასწარ განზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან დანერგილი შიდა კონტროლის მექანიზმების იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისათვის შესაფერის შიდა კონტროლის მექანიზმებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და

არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ უმაღლესი საბჭოს შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობას და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელების მიერ ანგარიშების საფუძვლად ფუნქციონირებადობის (უწყვეტობის) პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, ვადგენთ - არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა სამმართველოს ფუნქციონირებადობასთან (უწყვეტობასთან) დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, ვალდებული ვართ ყურადღება გავამახვილოთ უმაღლესი საბჭოს ფინანსური ანგარიშების შესაბამის განმარტებით შენიშვნებზე, სადაც აღწერილია აღნიშნული განუსაზღვრელობები, ან თუ ამგვარი შენიშვნები ადეკვატური არ არის, გამოვთქვათ მოდიფიცირებული მოსაზრება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, აუდიტის დასკვნის თარიღის შემდგომი მოვლენების ან პირობების გავლენით, უმაღლესი საბჭო შესაძლოა აღარ იყოს ფუნქციონირებადი ერთეული.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით. აგრეთვე უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ფინანსური ანგარიშების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

თარიღი:


09.03.2018

ხელმოწერა:

ნაია ხოფერია - უფროსი აუდიტორი, ჯგუფის ხელმძღვანელი (ტელ.: 599 85 81 98;
ელფოსტა: NKhoperia@sao.ge)



მიხეილ გოდოლაძე - უფროსი აუდიტორ-ასისტენტი



5. დანართები - უმაღლესი საბჭოს (01 00) ფინანსური ანგარიშგება

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

ფორმა №1

ბალანსი

ორგანიზაციის დასახელება

ჩაბარების ვადა

20.01.2018

ჩააბარა

(ხელმოწერა)

პერიოდულობა: წლიური, კვარტალური

ზომის ერთეული: ლარი

კოდი	აქტივები	ანგარიშის ნომერი	ნაშთი წლის დასაწყისისთვის	ნაშთი წლის (კვარტლის) ბოლოს
1	2	3	4	5
I. ფინანსური აქტივები და მოთხოვნები				
010	ნაღდი ფული საღარიბოში ეროვნულ ვალუტაში	1110		
020	ნაღდი ფული საღარიბოში უცხოურ ვალუტაში	1120		
030	მიმდინარე ანგარიში ბანკში ეროვნულ ვალუტაში	1211		
040	მიმდინარე ანგარიში ბანკში უცხოურ ვალუტაში	1212		
050	სხვა ანგარიშები ბანკში	1220		
060	მიმდინარე ანგარიში არასაბიუჯეტო სახსრებისათვის ხაზინაში	1230		
070	ანგარიში მიზნობრივი გრანტების და მიზნობრივი დაფინანსებისათვის	1240		
